სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/18

(ოქმი N20)

ქ. ბათუმი

22 აგვისტო 2019 წ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის (მიღებული: 14.07.2016წ) მე-7 მე-11 მუხლებით და ,,დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესის შესახებ'' მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი წესის მე-5 მუხლის 5.1. 5.6. პუნქტების და ამავე წესის მე-6 მუხლის საფუძველზე:

1. მაუწყებლის დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსი გამოცხადდეს ჩაშლილად, რადგანაც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა პირველი და ხელახალი (განმეორებითი) კენჭისყრის დროს.

2. მაუწყებლის დირექტორის დასანიშნად (ასარჩევად) განმეორებითი კონკურსის გამოცხადების მიზნით მრჩეველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნეს 2019 წლის 25 აგვისტოს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის ვადაში მისი გამოქვეყნების დღიდან.

4. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

5. გადაწყვეტილება ძალაშია მიღებისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი